



2025 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვარ-ნოემბრის
შესრულების შესახებ
ოპერატიული ინფორმაციის
მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
დეკემბერი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 24,726.7 მლნ ლარი

წლიური გეგმის 89.7%





გადასახდელები - 23,210.4 მლნ ლარი

წლიური გეგმის 83.1%

ნაშთის ცვლილება
1,516.3 მლნ ლარი

საოპერაციო სალდო
2,343.4 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
247.2 მლნ ლარი




სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები


2025 წლის იანვარ-ნოემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 24,726.7 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,560.8 მლნ ლარი) 89.7%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,824.9 მლნ ლარით (8.0%-ით) აღემატება (ძირითადად, შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2025 წლის 11 თვეში, გადასახდელები 23,210.4 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,941.7 მლნ ლარი) 83.1%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 11 თვის მაჩვენებელს 653.6 მლნ ლარით (2.9%-ით) აჭარბებს (ძირითადად, ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

შემოსულობების 11 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმასთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)




გადასახდელების 11 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმასთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)




შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, წლიური გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (91.9%), არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები შედარებით მაღალი მაჩვენებლით (93.0%) გამოირჩევა, ხოლო ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლებით შემოსულობები შესრულების დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 75.1% და 76.1%).

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, წლიური გეგმის მიმართ, ხარჯებისა და ვალდებულებების კლების კომპონენტები კარგი შესრულებით გამოირჩევა (შესაბამისად, 87.9% და 93.1%), ხოლო ფინანსური და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები შესრულების დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 75.4% და 55.8%).

შემოსულობების კომპონენტების საგეგმო და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)





გადასახდელების კომპონენტების საგეგმო და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)





სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,386.2 მლნ ლარს გაუტოლდა. 11 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 1,516.3 მლნ ლარი შეადგინა და 2025 წლის 1 დეკემბრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2,902.5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო**, 11 თვეში, 2,343.4 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** 247.2 მლნ ლარი შეადგინა.



გადასახადების სახით, იანვარ-ნოემბერში მობილიზებულია 19,745.6 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 90.2%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით გადასახადების წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლები 83.1% - 92.9%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. მოგების გადასახადი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი შესრულების დონით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადს, წლიური საგეგმო მაჩვენებელი 510.0 მლნ ლარს შეადგენს, 11 თვეში კი 589.8 მლნ ლარია ჩარიცხული. 2024 წელთან შედარებით, გადასახადები გაზრდილია 1,687.8 მლნ ლარით (9.3%-ით), ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის, აგრეთვე, დღგ-ის, შესაბამისად, 13.0%-იანი და 5.9%-იანი მატების გავლენით.

ხარჯების მაჩვენებელმა 11 თვეში 19,196.0 მლნ ლარი, წლიური გეგმის 87.9% შეადგინა. სახეების მიხედვით ხარჯების წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლებში, სუბსიდიებისა (93.7%) და სოციალური უზრუნველყოფის (92.6%) ხარჯები შედარებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა, პროცენტის მუხლით ხარჯები კარგი შესრულებით ხასიათდება (90.3%), ხოლო შრომის ანაზღაურების (85.6%), გრანტების (85.1%), სხვა ხარჯებსა (82.7%) და საქონლისა და მომსახურების ხარჯებს (79.5%) შედარებით დაბალი მაჩვენებლები აქვს. წინა წელთან შედარებით, ხარჯები 1,617.5 მლნ ლარით (9.2%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების 10.4%-იანი მატების გავლენით.



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 11 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	2025 წლის 11 თვე / 2024 წლის 11 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	22,901.8	27,560.8	24,726.7	89.7%	1,824.9	8.0%
შემოსავლები	19,567.9	23,434.9	21,539.4	91.9%	1,971.5	10.1%
გადასახადები	18,057.8	21,885.0	19,745.6	90.2%	1,687.8	9.3%
საშემოსავლო გადასახადი	6,055.2	7,369.0	6,842.8	92.9%	787.6	13.0%
მოგების გადასახადი	2,773.8	3,070.0	2,550.2	83.1%	-223.5	-8.1%
დღგ	6,858.1	8,136.0	7,264.9	89.3%	406.8	5.9%
აქციზი	2,173.0	2,650.0	2,365.8	89.3%	192.8	8.9%
იმპორტის გადასახადი	125.6	150.0	132.1	88.0%	6.5	5.1%
სხვა გადასახადები	72.1	510.0	589.8	115.6%	517.6	717.9%
გრანტები	270.8	199.9	217.9	109.0%	-52.8	-19.5%
სხვა შემოსავლები	1,239.4	1,350.0	1,575.9	116.7%	336.5	27.1%
არაფინანსური აქტივების კლება	236.7	300.0	278.9	93.0%	42.2	17.8%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	310.2	400.0	300.2	75.1%	-10.0	-3.2%
ვალდებულებების ზრდა	2,787.0	3,425.9	2,608.2	76.1%	-178.8	-6.4%
საშინაო	1,290.1	1,600.0	1,429.4	89.3%	139.3	10.8%
საგარეო	1,497.0	1,825.9	1,178.8	64.6%	-318.2	-21.3%
გადასახდელები	22,556.7	27,941.7	23,210.4	83.1%	653.6	2.9%
ხარჯები	17,578.5	21,842.0	19,196.0	87.9%	1,617.5	9.2%
შრომის ანაზღაურება	2,298.9	3,035.0	2,597.6	85.6%	298.7	13.0%
საქონელი და მომსახურება	1,966.3	2,485.3	1,976.6	79.5%	10.4	0.5%
პროცენტი	1,408.5	1,745.0	1,575.9	90.3%	167.4	11.9%
სუბსიდიები	975.6	1,021.6	957.5	93.7%	-18.2	-1.9%
გრანტები	1,388.1	1,856.5	1,579.7	85.1%	191.5	13.8%
სოციალური უზრუნველყოფა	7,084.3	8,446.3	7,820.3	92.6%	736.0	10.4%
სხვა ხარჯები	2,456.8	3,252.3	2,688.4	82.7%	231.6	9.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,580.1	4,258.9	2,375.0	55.8%	-1,205.1	-33.7%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	219.1	424.1	320.0	75.4%	100.8	46.0%
ვალდებულებების კლება	1,179.0	1,416.7	1,319.3	93.1%	140.4	11.9%
საშინაო	34.7	42.9	32.1	74.7%	-2.6	-7.6%
საგარეო	1,144.3	1,373.8	1,287.3	93.7%	143.0	12.5%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	345.1	-381.0	1,516.3		1,171.2	

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 11 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 11 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	2025 წლის 11 თვე / 2024 წლის 11 თვე	
					სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	19,567.9	23,434.9	21,539.4	91.9%	1,971.5	10.1%
გადასახადები	18,057.8	21,885.0	19,745.6	90.2%	1,687.8	9.3%
გრანტები	270.8	199.9	217.9	109.0%	-52.8	-19.5%
სხვა შემოსავლები	1,239.4	1,350.0	1,575.9	116.7%	336.5	27.1%
ხარჯები	17,578.5	21,842.0	19,196.0	87.9%	1,617.5	9.2%
შრომის ანაზღაურება	2,298.9	3,035.0	2,597.6	85.6%	298.7	13.0%
საქონელი და მომსახურება	1,966.3	2,485.3	1,976.6	79.5%	10.4	0.5%
პროცენტი	1,408.5	1,745.0	1,575.9	90.3%	167.4	11.9%
სუბსიდიები	975.6	1,021.6	957.5	93.7%	-18.2	-1.9%
გრანტები	1,388.1	1,856.5	1,579.7	85.1%	191.5	13.8%
სოციალური უზრუნველყოფა	7,084.3	8,446.3	7,820.3	92.6%	736.0	10.4%
სხვა ხარჯები	2,456.8	3,252.3	2,688.4	82.7%	231.6	9.4%
საოპერაციო სალდო	1,989.4	1,592.9	2,343.4	147.1%	353.9	17.8%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,343.5	3,958.9	2,096.1	52.9%	-1,247.3	-37.3%
ზრდა	3,580.1	4,258.9	2,375.0	55.8%	-1,205.1	-33.7%
კლება	236.7	300.0	278.9	93.0%	42.2	17.8%
მთლიანი სალდო	-1,354.0	-2,366.0	247.2	-10.4%	1,601.3	-118.3%
ფინანსური აქტივების ცვლილება	254.0	-356.9	1,536.1	-430.4%	1,282.1	504.7%
ზრდა	564.2	424.1	1,836.3	433.0%	1,272.1	225.5%
ვალუტა და დეპოზიტები	345.1	0.0	1,516.3		1,171.2	339.4%
სესხები	215.8	421.7	232.4	55.1%	16.6	7.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	3.3	2.5	87.5	3572.5%	84.3	2571.7%
კლება	310.2	781.0	300.2	38.4%	-10.0	-3.2%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	381.0	0.0	0.0%	0.0	
სესხები	310.2	400.0	299.4	74.8%	-10.8	-3.5%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.8		0.8	
ვალდებულებების ცვლილება	1,608.1	2,009.1	1,288.8	64.1%	-319.2	-19.9%
ზრდა	2,787.0	3,425.9	2,608.2	76.1%	-178.8	-6.4%
საშინაო	1,290.1	1,600.0	1,429.4	89.3%	139.3	10.8%
საგარეო	1,497.0	1,825.9	1,178.8	64.6%	-318.2	-21.3%
კლება	1,179.0	1,416.7	1,319.3	93.1%	140.4	11.9%
საშინაო	34.7	42.9	32.1	74.7%	-2.6	-7.6%
საგარეო	1,144.3	1,373.8	1,287.3	93.7%	143.0	12.5%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0		

